# იმერეთი

№ 83 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 83

**ფასი**: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

**ხუთშაბათი 19 ივნისი**

**მისამართი**: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი" თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.


ეროვნული ბიბლიოთეკა


## ქალაქის თეატრი.

ხუთშაბათს, 19 ივნისს **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **გედევანიშვილის პიესა „სინათლე"** (გამარჯვება თუ დამარცხება)?

დასაწყისი საღამოს 8½ საათ. ადგილების ფასი დაკლებულია.

პარასკევს, 20 ივნისს, ქალაქის თეატრში ი. მჭედლიშვილის გაიმართება

## სალიტერატურო საღამო.

---

# „რადიუმი"

ორშაბათიდან, 16 ივნისიდან, ახალი პროგრამა.

პატე ჟურნალი ქრონიკა ქვეყნიერებისა

## გიჟური ღამეები უძილო ღამეები

დიდ. დრამა 4 ნაწილათ. სურათი ნათლათ ხატავს **ახალგაზდა ქალის ცხოვრებასა და დაცემას.** ამ სურათს ასრულებენ გამოჩენილი არტისტები: **ვიგო ლარსენი და ვანდო ტრეიმანი.**

## ორი ცოლი ერთი ქმრისა

მხიარული ფარსი, კომედია.

პროგრამის გარეშე:

## კლასიკური ცეკვა

**ქ-ნ რაბენეკის სკოლიდან**

**ანონსი**: ამ დღეებში წარმოდგენილ იქნება სურათი

## ბალეტის მანდილოსანი

გამოჩენილი დრამა 4 ნაწ. მხატვრული სურათებით.

---

## ქუთაისი
## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დილით.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი **ვ. ა. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½—2მ |

**საღამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოდოშვილი**

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## სამკურნალო აბანო

**ძმ. ყორყოლაძეების**

სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარეიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში". აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში" იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

---

# ОБЪЯВЛЕНІЕ.

## Управл. Кут. Город. телефонной сѣти

*симъ доводитъ до свѣдѣнія абонентовъ, что тѣмъ изъ нихъ, которые слѣдуемой платы за пользованіе городскимъ телефономъ въ теченіе І-го полугодія 1914 года не внесутъ въ Управленіе сѣти до конца сего Іюня мѣсяца, на основаніи 17 параграфа условій пользованія Кут. Город. телефонной сѣтью, телефонное сообщеніе будетъ прекращено съ І-го Іюля сего года.*

Завѣдывающій Кут. Город. телефон. сѣтью Г. Вешапидзе.

---

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

---

სპეციალური წიგნის მაღაზია

## კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

---

**ჯგუფი სტუდენტ სპეციალისტებისა უსწორებს გაკვეთილებს** და ამზადებს მოწაფეებს ყველა საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი: ქარვასლის ქუჩა ჩარექოვის სახლი № 13.

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

**ექიმი ბ. ა. მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი**: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

ხალვთო სკოლის მასწავლებელთა

## საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული სალვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

---

შემთხვევით

## იყიდება

ხელმისაწდომ ფასში საბაკალეინო დუქანი მთელი მოწყობილებით

**ადრესი**: სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი იკითხეთ ანთიმოზ ქორიძე.


---

## ქართული ენა.

ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი დაისტამბა ქუთაისის გუბერნიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა საზაფხულო კურსების შესახებ, რომელიც ამჟამად მოწყობილია ქ. ქუთაისში. ამ წერილებმა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვიეს, როგორც აქაურ, ისე თფილისის ქართველ საზოგადოებაში.

უმთავრესი ნაკლი ამ კურსებისა ის არის, რომ მისი ხელმძღვანელნი ბ-ნ მკურნალის სახით იცავენ ლევიცკის მუნჯურ მეთოდს, უდიერათ ეპყრობიან განსვენებულ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო პრინციპებს და მით, რასაკვირველია, აბუჩათ იგდებენ სამშობლო ენას.

ვინც კი იცის გულისთქმანი უმაღლესის სასულიერო მთავრობისა, ვინც კი იცნობს ჩვენებურ სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში გამეფებულ რეჟიმს სწავლისას, იმისათვის არაფერი საკვირელი არ არის, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის კურსების მომწყობნი და მათი ხელქვეითნი „მუნჯურ მეთოდს" აძლევენ უპირატესობას პედაგოგიკაში. მათი უუწმინდესი მიზანი და დანიშნულებაა, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექცეს ამა თუ იმ არარუსთა სამშობლო ენას,—საკვირველი ის არის, რომ ჩვენ, ქართველები, მხოლოდ სიტყვიერ აღშფოთებით ვკმაყოფილდებით და სრულიადაც არა ვცდილობთ რაიმე რეალური გამოხატულება მივსცეთ ხოლმე ჩვენს აღშფოთებასა და სამართლიან გულისთქმას.

ბ-ნი მკურნალი, რომელსაც თურმე თავიც კი მოაქვს თავის ქართველობით, მხარს უჭერს „მუნჯურ მეთოდს", მასწავლებელნი კი, სოფლის მასწავლებელნი, რომლებიც მხსნელნი და დამცველნი უნდა იყვნენ სამშობლო ენისა, ყურს უგდებენ თავის ხელმძღვანელებს და მხოლოდ ჩუმად იტანჯებიან; კორესპონდენტები სწერენ სამართლიან წერილებს, საზოგადოება კითხულობს მათ (შეიძლება არც კი კითხულობდეს. ესეც ერთგვარი სენია ჩვენის ინტელიგენციისა და შესმენილ „ნოქრების" ერთის ნაწილისა), ხოლო „ჩვენი ხელმძღვანელნი" კი ხითხითობენ და კვლავ თავის „საქმეს" განაგრძობენ.

ასე იყო უწინ, ასეა დღესაც.

ცარიელ სიტყვას რომ რაიმე რეალური სარგებლობა მოჰქონდეს, შავ ზღვას მელნათ ვაქცევდით და რაც ამ მელნით ციფრი დაიწერებოდა, იმდენ მილიონ მანეთს ვუნატრებდით ქართველ ხალხს, რომ ერთბაშათ გაძლიერებულიყვნენ ქონებრივად და მთელი თავისი ძალ-ღონე საქვეყნო, საერო საქმისათვის მოეხმარებინათ, მაგრამ სიტყვა სხვაა, საქმე კი სხვა!.. აი ამ საქმის გაკეთებაზე უნდა ვიზრუნოთ რამე, ჩვენი ვულისთქმა განვახორციელოთ და ჩვენი სურვილი დავაკმაყოფილოთ!

ერთ წელიწადზე მეტია, რაც ქართულმა პრესამ აღძრა საკითხი ქართული ენის სასწავლებლებში კარგად დაყენების შესახებ; ბევრი მშვენიერი სიტყვა წარმოითქვა, ბევრი გულის ტკივილი გამოითქვა, მაგრამ კი არა გაკეთებულა რა, გარდა

იმისა, რომ ყველას დიდი სურვილი აქვს ქართული ენის მოწყობისა. ერთის მხრით ესეც სანუგეშო მოვლენაა, რადგანაც ნათლად მოწმობს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ხალხი არა მდგარა გადაგვარების გზაზე, და დღეს თუ არა, ხვალე მაინც მიაღწევს თავის სურვილის განხორციელებას, სავალალოთ მათდა, ვინც „მუნჯურ მეთოდში“ ხედავს ლუკმა პურის ძიებას.

ამისათვის კი, ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა:

1) მოწვეულ იქნეს სრულიად საქართველოს ყველა სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელთა ყრილობა;

2) შემუშავებულ იქნეს საერთო პროგრამა, როგორც დაბალ, ისე საშუალო სასწავლებელთათვის და

3) ყოველი ღონე უნდა იქნეს მიღებული, რომ კანონმდებლობისა თუ უმაღლესის ნებართვით ქართულ ენას მიენიჭოს სავალდებულო საგნის უფლება.

მაშინ მუნჯური მეთოდი და მისი მომხრე მშიშარა მოხელეები გაქრებიან, ვით შარშანდელი თოვლი და ქართულ ენასაც დაედება ის პატივი, რომელიც მას ღირსეულად ეკუთნის.

საქართველოს სკოლებში სახელმწიფო ენასთან ერთად უნდა გაბატონდეს ქართული ენაც.

ეს უნდა იყოს დევიზი ყოველივე ქართველისა.

როდის და რა გზით უნდა მოხდეს ქართული ენის მასწავლებელთა ყრილობა, ან რა ზომები უნდა ვიხმაროთ ქართული ენის სკოლებში გამეფებისათვის, ამის შესახებ შემდეგ.

## საჭირო განმარტება.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ ორი კვირის წინათ სოფ. გოდოგანში, მოწამეთის მონასტრის პირდაპირ, წყალგაღმა, ტყეში, უცხოელებმა გამოქვაბულ კლდეში მიწას დაუწყეს თხრა და სიძველეებს ეძებდენ. მიწიდან ამოღებული ქვებით მათ ცხრა ტომარა გაევსოთ და ქუთაისს ჩამოეტანათ. ამის გამო ხალხში დიდი მითქმა-მოთქმაა და ათასგვარი ხმები გავრცელდა, ამიტომ საჭიროთ ვრაცხ საზოგადოებას შემდეგი ვაცნობო:

როდესაც რაიონის კორესპონდენტმა მაცნობა, რომ უცხოელებმა მიწიდან ქვის იარაღები მოთხარეს და 9 ტომარა უკვე წამოიღეს ქუთაისშიო, მეორე დღესვე, კვირას, 15 ივნისს, მე თვითონ და გამგეობის წევრი ვლ. ვეკუა წავედით და ადგილობ ვნახეთ ყველაფერი. მართლაც, თითქმის მიუვალ კლდეში არის გამოქვაბული—სიგანით სამი საჟენი, სიგრძით ოთხი საჟენი, სიმაღლით კი—მიწის ზევით, ერთი საჟენი. ერთ კუნჭულში ასეთი თარჯია დასმული А. Д. Л. К. 1914 г. შესულან აქ ეს უცხოელები და დაუწყიათ მუშაობა. გაუჭრიათ მიწა ორი საჟენის სიმაღლეზე; ზევიდან ერთი საჟენი უბრალო ნაყარი მიწაა დატკეპნილი, შემდეგ ნახევარი არშინის სიმაღლეზე ირგვლივ ზოლივით მიყვება შავი ფხვნილი მიწა, რომელიც სავსეა კაჟის ნამტვრევებით, ადამიანისა და ცხოველების ძვლებით და ავრეწოდებული გაკვამლული ბროლის ნატეხებით, რომელსაც მეცნიერებაში ქვია (კვარც) და ძლიერ წააგავს მინას, თუმცა ქვის ჯიშია და უბრალო ქვას ისე სჭრის, როგორც ფოლადი, ან ალმასი.

ეს კაჟის ნაჭრები არის იარაღი **ქვის ხანისა** ე. ი. მაშინდელი, როცა ლითონი ხმარებაში კიდევ არ იყო და ადამიანი ქვის საშუალებით სჭრიდა და ხვრეტდა საოჯახოთ საჭირო საგნებს. უცხოელები გაყოლიან ამ შავ ზოლს და ერთი კვადრატი საჟნის სივრცეზე 10 ტომარა ამოუღიათ, ცხრა წამოუღიათ და მეათე მონასტერშია. ყოველივე იმ ღამესვე მოვახსენე ეპისკოპოზს და მეორე დღეს დილით გუბერნატორს. განვიხილეთ საბუთები ამ უცხოელი სტუმრების და აღმოჩნდა, რომ გერმანელი პროფესორი შმიდტი მიუწვევია სწავლა-განათლების სამინისტროს, მიუცია მისთვის ასი თუმანი ხარჯისთვის და გამოუგზავნია აქით სამხრეთ გუბერნიებში პალეონტოლოგიური და გეოლოგიური გამოკვლევების მოსახდენათ—მან უნდა მოსძებნოს სხვადასხვა ჯიშის ქვები, გაქვავებული ცხოველები და სხვა ისეთი ნიშნები, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერებს, რომ გამოარკვიონ ადამიანის ცხოვრების უწინდელი ხანა. ყველაფერი, რასაც კი ექნება პალეონტოლოგიური და გეოლოგიური მნიშვნელობა, პროფესორმა შმიდტმა უნდა წარადგინოს სამინისტროში, სადაც განაწილდება ის გამოსაკვლევათ მეცნიერულ დაწესებულებათა შორის. დღეიდან მუშაობის დროს მათ ესწრებათ ყარაული მონასტრის მხრივ (ქონება მონასტრისაა) და ნახული ნივთიერების გადარჩევა და განაწილება ხდება ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის მხედველობის ქვეშ—ასე რომ ყოველი მხრით დაცული იქნება კანონიერება და წესიერება; გადაჭარბებულ და ზედმეტ ხმებს ნურავინ დაიჯერებს.

ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე **ტრიფონ ჯაფარიძე.**

ქუთაისი, 18 ივნისი.

## ქართული პრესა.

ჩვენს დასელებს რომ სულ სხვა გვარი თავი და გული აქვთ, ეს არავისათვის სადავო აღარ არის, მაგრამ შესმენა და სამართლიანობა რომ აკლიათ, ეს კი სამწუხაროა, პირადათ ჩვენთვის მაინც, რადგანაც უბრალო ჭეშმარიტებაც კი ვერ გაუგიათ.

ჩვენს თანამშრომელს ბ-ნ შალვა ამირაჯიბს წერილი ჰქონდა დასტამბული გედევანიშვილის პიესის „სინათლის“ შესახებ. ამ წერილში, რომელსაც ავტორის გვარი აქვს მოწერილი, იგი უარყოფით ეპყრობა „სინათლეს“ სინათლეობას. ეს ძალიან გახარებია გაზეთ „აზრს“ და ალტაცებით გაიძახის.

„უეჭველია ამ დღეებში ისარი, ან ია ეკალაძე შ. ამირაჯიბს აზრს დაგმობს და სამშობლოს „ფარულ“ დასელთა შემოსევისაგან დაიხსნისო“.

ხელოვნური ნაწარმოების კრიტიკა არც სამშობლოს დაღუპვაა და არც დასელების „გაროზგვა“, ან გამარჯვება ჩვენ თავის დღეში კრიტიკისაც არ გვშინებია, მაგრამ როცა უდიერათა და უმართებულოდ დაუწყვიათ ხელების ფათური სხვის სულსა და გულში—როგორი სენითაც ცოტა არ იყოს შეპყრობილნი არიან ჩვენი დასელები,—მაშინ კი არ დაგვინდვია არც „ფარული“ და არც „დაუფარავი“ დასელი.

რას იტყვიან ისარი, თუ ია ეკალაძე ეს ჯერ არავინ იცის, მაგრამ.

გრ. რობაქიძის ლექციის შემდეგ რომ დასელებს „ცა გაეხსნებათ“ და თავისებურ იალქნებს აუშვებენ, ეს კი ეჭვს გარეშეა.

ტყვილად როდია ნათქვამი: „ზურგ წამხდარი ცხენი კაჭკაჭს ზეცაში დაინახავსო“.

## სოფლად.

ეჭვს გარეშეა, რომ ზნეობრივი მხარე უსაჭიროესი და თვით უძლიერესია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვინ უნდა გაუმკლავდეს, ვინ უნდა წინ აღუდგეს და გამოესარჩლოს გლეხკაცის შავუარყოფით მხარეს,—აი საკითხი, რომელიც გვიდგება თვალწინ. რასაკვირველია, ეს ეკითხება გონება გახსნილ მოწინავე ახალგაზდობას, რომელიც სტოვებს სოფელს, მიდის ქალაქში, რათა ამ უკანასკნელში უფრო თბილ ადგილას მოკალათდეს. გლეხკაცი, სოფელში უპატრონოთ დარჩენილი, საშინელ სილატაკეში ჩავარდნილი, უძლურდება ზნეობითაც და გონებრივადაც. კარგავს იგი ადამიანურ დანიშნულებას, ეხშობა მას აზრი ცხოვრების გაუმჯობესებისა!.. გლეხკაცს, უმეცრებით სავსეს, ამაოთ მორწმუნეს და საკუთრების ძონას, სულისა და ხორცის შემხუთველი მწარე ცხოვრება, უვიცობისა და აქა-იქ ცრუმორწმუნოების მძიმე უღელი, მძიმეთ აწევს კისერზე. ასეთ ხალხს, რასაკვირველია, არ აქვს ცოდნა, შეგნება, რომ შეებრძოლოს, შელახოს თვით დამაბეჩავებელი მიზეზები, რომ მით შეგნებულათ გაუძლვეს თავის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, რათა შემდეგ უფრო იმედით შეხედოს მყობადს.

როგორც ზემოთ ვსთქვი, სოფელი ჩამორჩენილია ნამდვილ გულშემატკივარ ჭირისუფლებს, მასზე მზრუნველ ინტელიგენციას, რომელიც მოვალეა შეიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცხოველი გრძნობა, მხნეობა, უანგარობა და შრომა!—ერთის სიტყვით, გამოიჩინოს მეტი ენერგია, ფხა და უნარი, მის ასაყვავებლათ და ასაღორძინებლათ. ჩვენ ხალხს დღეს დიახაც შეგნებული აქვს, რომ იგი მოკლებულია ასეთ პირებს, იგი თანდათან ირკვევა, თვითონ ცდილობს თავის კეთილდღეობაზე, წინსვლაზე, გათვითცნობიერებაზე!.. ამას თვით ზოგიერთი გარემოებაც გვიმტკიცებს; ხალხი ნაკლებათ ეტანება ძველ გზას, ძველ რწმუნებას, არ ეტანება იგი იმდენათ ექიმბაშ-მკითხავებს და შინაურ ექიმებს. ნასწავლ ექიმებს ცოტათი მაინც შეეჩვია ხალხი და 15—25 ვერსის სიშორეს ხშირად ყურადღებასაც არ აქცევენ და ქალაქში მცხოვრებნი ექიმები მიყავთ სოფელში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს სოფლებში ჯერ-ჯერობით ექიმი ფეხს ვერ იკიდებს. რათ გაურბის იგი სოფელს და მიეშურება მხოლოდ ქალაქ ადგილას? შეძლებული მამულით და ამასთანავე ნასწავლი, თუ კი მას ცოტათი მაინც ექნებოდა ხალხის კეთილდღეობის სურვილი, ადვილად შეიძლებდა ლუკმა პურისთვის ბრძოლის ატანას და უფრო ადვილად დაბინავდებოდა სოფელში. მაგრამ ვაგლახ, რომ ასეთი პირები ჩვენ არ მოგვეპოება, არ გვყავს და თუ კი—ერთი-ორი, ისინიც ქალაქს მიეშურებიან.

ქალაქში დაბინავებულ ექიმებზე ხშირად გაიგონებთ საყვედურს—რატომ სოფელში არ მოდიანო? მართლაც, თუ კი ექიმს კარგათ აქვს შეგნებული, გათვალისწინებული თავისი სამსახური, თავისი წმიდა მოვალეობა, სოფელში ექიმობა უდიდეს ღვაწლს შეადგენს მისთვის. ყოველი ოჯახიც, რომელსაც ავადმყოფი ჰყავს, საკმაოდ დააჯილდოვებს მას შეძლებისადაგვარად, თუ მკურნალმა გულმხურვალედ მოუარა მას და შეძლებაზე მეტი სასყიდელიც არ მოსთხოვა ავადმყოფის პატრონს.

ნიადაგი, რომელიც აახლოვებს ექიმს ავადმყოფთან,—არის: განუშორებელი სურვილი მისი ავადმყოფის მორჩენაზე, მისი ფეხზე დაყენება და სიყვარული მისდამი. აი, მაშინ უეჭველათ ავადმყოფიც დააჯილდოვებს მას იმავე რწმენით და სიყვარულით. როგორც წინათ ვსთქვი—გლეხკაცს დღეს საკმაოთ აქვს შეგნებული ნასწავლი ექიმის მნიშვნელობა. იგი სრული მისი ძალ ღონით მოწადინებულია ჰყავდეს სოფელში დაბინავებული ექიმი, მაგრამ, სამწუხაროთ, მატერიალური პირობები ხელს არ უწყობს, აღარ ძალუძს დააბინაოს იგი შესაფერად, ჯამაგირიც გაუჩინოს და უზრუნველჰყოს.

იგი გრძნობს, იცის, თუ რა აურ-ზაურს და ბოროტმოქმედებას გამოიწვევს ხოლმე სოფლად ახალ-ახალი ხარჯების დადება. და მართლაც დღევანდელი გლეხი წელშია მოხრილი მრავალნაირი ხარჯისგან. რომელ ერთს უნდა გაუძლოს, გაუმკლავდეს?—ბატონის გადასახადს, სახელმწიფო ხარჯებს, ნაცვალს, -გზებს თუ მამასახლისთა ქრთამს?

ვინ არ იცის, რომ ნასწავლი ექიმი სოფლათ დიდი ღვთის წყალობაა, რომლის რჩენა და მოვლაც არ გაუჭირდება მას, თუ კი მან პირველ ხანებში იტვირთა ცოტაოდენი გაჭირვების მზგავსი მდგომარეობა და თუ არ გამოიჩინა მაშინათვე სულის სიმდაბლე, კუჭის მოყვარეობა და სულმოკლეობა!..

**იოსჩ. ჯაქაძ.**

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

დღეს, საღამოს 8 ნახევარ საათზე ქალაქის თეატრში გაიმართება ლექცია ბ. გრ. რობაქიძისა, გედევანიშვილის პიესის სინათლის შესახებ, რომლის უმთავრესი დებულებაც შემდეგია.

1) ჩვენი ესთეტიური უკულტურობა: მაგალითები; ხელოვნების გემოს დაცემა რუსთაველის სამშობლოში.

2) გედევანიშვილის „სინათლის“ გამარჯვება საგულისხმოა მრავლის მხრით და მისი კრიტიკული გარჩევა უცილობელ საჭიროა.

3) ფაბულა „სინათლისა“ მეტად სადაა და მარტივი და იგიც არ არის საკმაოდ განვითარებული მხატვრობის მხრით.

4) „სინათლე“ თავიდან ბოლომდი უბრალო ფანტასტიკას წარმოადგენს; ფანტასტიური ელემენტი დრამაში: მაგალითები მსოფლიო ლიტერატურიდან. „სინათლის“ ფანტასტიკა ყოვლად შეუწყნარებელია.

5) „სინათლეს“ აკლია დრამატიზმი: არც ერთი მისი გმირი არ განიცდის სულიერ დრამას.

6) „სინათლე“ არც რეალისტურია და არც სიმბოლისტური; უკეთეს შემთხვევაში იგი კინემატოგრაფის ლენტისათვის გამოდგება.

7) მისგან გამოწვეული ეროვნული გრძნობა უფრო ფიზიოლოგიურის ხასიათისაა, ვიდრე ესთეტიურის და ამისათვის მისი დადგმაც ყალბს—ნაციონალურ გრძნობის გამოწვევას უფრო ხელს შეუწყობს.

ეს ლექცია დიდათ საყურადღებოა, რადგანაც ბევრ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს და მით საშუალებას მისცემს საზოგადოებას შეადგინოს ესა თუ ის გადაჭრილი აზრი...

✦ ხალხის მოამაგის მელიტონ გობეჩიას გადაცვალებისა გამო ჩვენმა რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო წერილი ბ. მიხა ჭითანავასაგან.

✦ ქუთ. გუბერნატორი ბ-ნი პოტულოვი ქალაქის თვითმართველობას სთხოვს

---

## სტუმარი.

იხილე „იმერეთი“-ს 74-ე №.

ქეთო თავის დღეში ვერ დაივიწყებს იმ საბედისწერო დღეს, ვალიკო რომ სკოლიდან გამორიცხეს, ერთს როცა მასწავლებელს წაეკიდა. დღე ერთი იყო და საჩივარი ასი.

—„ვერ მოვითმენ ამდენ უსამართლობას; უთუოდ ჯავრი უნდა ვიყარო იმ დამყაყებულზე!—იმეორებდა ერთსა და იმავეს ვალიკო.

—„დაიცა შვილო, თავს არაფერი ავნო; საქმეს ეშველება: მასწავლებელს გადაიყვანებენ!—არიგებდა ქეთო. მაგრამ ვალიკომ ვერ მოითმინა; ერთ დილით აბეზარ მასწავლებელს კიბეზე მალულად პეტარდა დაუდო. სასწავლებელში საშინელი აფეთქების ხმა გაისმა; ამბავი ელვის სისწრაფით მთელს ქალაქს მოედვა და... ვალიკოც გამორიცხეს.

—„არ მინდა ასეთი ავაზაკი შვილად მყავდეს... გამეცალოს სითაც ენებოს!“ —ღრიალებდა გაანჩხლებული მალხაზი.

ეჰ, რამდენი უძილო ღამეები გაუტარებია ბედშავ ქეთოს, რამდენი ცრემლი დაუღვრია!...—„რაუყოთ რომ ბავში ბავშურათ მოიქცა. განა იმ უგულო მასწავლებელს კი არ გამოუცდია ბავშობა!...

დიდი დავიდარაბის შემდეგ ვალიკო სხვა ქალაქში მიაბარეს. სანატრელათ გაუხდა ქეთოს ვალიკოს თვალის შევლება. ვალიკოც დავაჟკაცდა; თვალწარმტაცი ჭაბუკი დადგა. — აი შორეულ ქვეყანაში გამგზავრებამაც მოუწია.

—„როდის დაბრუნდები, ვალიკო, როდის გვნახავ კიდევ?

ე... ე... ე, დედაჩემო, თქვენ ხელი მომიწყვეთ... ხომ იცი, რუსეთში ცხოვრება იაფი არაა... ჩამოსვლას კი მოვესწრები... ადვილი საქმეა!—ქეთოს ახლაც ესმის როგორ ჩაუჩხრიალა დედის ერთას მალხაზისაგან მალულად შეგროვილი ოქროები; როგორ დაუსტვინა ბანჯგვლიანმა მეეტლემ ცხენებს. „—მშვიდობით, ვალიკო, შენ იცი რა ჰკუით მეყოლები“!

—„მშვიდობით, დარდი ნურაფერისა გექნებათ!—უკანასკნელად გადმოსძახა ვალიკომ, ქუდი შეათამაშა და ეტლი ეზოს მიეფარა.

მას შემდეგ გავიდა წლები. მოსაწყენი, ერთფეროვანი წლები. მხოლოდ ორჯერ ჩამოვიდა ვალიკო სახლში, ისიც ცოტა ხნით. შემდეგ კი ამასაც მიანება თავი. ხანდისხან მოკლე წერილს თუ მოიწერდა ხოლმე, ისიც მაშინ, როცა ფულები ესაჭიროებოდა.—„ეს წყალში გადაჩეხა რას ნიშნავს მაინც!“—ქეთომ ველარ მოითმინა და წყნარი ქვითინი მორთო. ოთახიდან მოისმა ამდგარ მალხაზის ჩახველება და ბრახა-ბრუხი.—„რა გულქვა კაცია, მალხაზი, ტირილსაც კი მიკრძალავს ხოლმე“—გაიფიქრა ქეთომ, თვალები მოიწმინდა, მოსამსახურეს გასძახა და ჩაის თავდარიგს შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ ცოლქმარი ჩაის შეექცეოდენ.—„ცუდათაა საქმე, მოვხუცდი, საცაა, შრომის უნარსაც დავკარგავ, შვილის იმედი კი... სხვა შვილი გამჩენოდა მაინც!—ფიქრობდა მალხაზი. მალ-მალ ოხრავდა და ვერ გამოერკვია, რისთვის უნდა სვას ჩაი დილ-დილობით, როცა ეს მას არ სურს. ოთახში ცხელოდა და მძიმე ჰაერი ტრიალობდა. აბეზარი ბუზები თეფშების გარშემო ფერხულს უვლიდენ.

—„ბ-ნო, ავათმყოფები გელოდებიან!“ —მოკრძალებით მოახსენა მოსამსახურე გოგომ და კარებში აიტუზა. მალხაზმა უკანასკნელად შესვა ჩაი, სათვალეები გაიკეთა და სამუშაო ოთახისაკენ გასწია.

—„რამდენი წლისა იქნებით?.. ძმები, ან დები გყავთ?.. რითი დაგეხოცათ მშობლები?“—მოისმოდა კაბინეტიდან ჩვეულებრივი კითხვები. ავათმყოფი არეულად უპასუხებდა, ტიტველ სხეულზე ხელებს იფარებდა და თავს უაზროთ აქნევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მალხაზი აივანზე იდგა.—„ხომ გესმისთ, როგორ უნდა მოიქცეთ?.. წამალს სად იყიდით?.. წიწილისათვის სუფთა ჭურჭელი ხომ გეშოვებათ?..“ გასძახოდა მალხაზი ჭიშკრისაკენ მიმავალ ავათმყოფებს.

—„გვესმის, ბ-ნო, ყველაფერი გავიგეთ!“—ბუდბუტობდენ ავათმყოფები, ზანტად მიაბიჯებდნენ, წამისწამ უკან იხედებოდენ და ფიქრობდენ:—„აღარ დაგვანებებს ნეტავი თავს? ხომ არ უნდა ეგზამენი ჩავაბაროთ!“..

მალხაზს ჩვეულებად ჰქონდა: ავათმყოფს უთუოდ აივანზე გაჰყვებოდა, წამლების ბარათს ჩააბარებდა და თითქმის გაზეპირებულ დარიგებას ჭიშკართან მისვლამდი რამდენჯერმე გაამეორებიებდა. ბევრს არ მოსწონდა მალხაზის ასეთი საქციელი.—„მოხუცდა ექიმი, თვითონაც არ გაეგება რას ამბობსო“—ეს გაგებული ჰქონდა მალხაზსაც, მაგრამ ჩვეულებას არ სტოვებდა და ამბობდა:—„ხალხმა რა იცის, რომ კარგი დარიგება წამალზე ნაკლებ არ გამოადგებაო.

— ახირებულია, სწორედ, როგორ ამაღეს ხელი!—გაიფიქრა მალხაზმა და ფართო აივანზე გაისეირნა. უწინ ავათმყოფებიდან მოსვენება არ ვიცოდი, თავს მაბეზრებდენ. ახლა კი მთელი საათობით ვიცქირები ჭიშკრისაკენ, თითქო ავათმყოფები საძებარი იყოს, არც იმდენათ მოხუცი ვარ, რომ საქმის პირნათლად ასრულება არ შემეძლოს. მართალია, სმენამ მიკლო, ცუდათაც ვხედავ, მაგრამ გამოცდილება, ასე ვსთქვათ, ავათმყოფობის ალღოთი გამოცნობა ჩემისთანა აბა რომელ ექიმს შეუძლია!—მალხაზმა ხელი ჩაიქნია, ნაბიჯს მოუკლო და თოვლივით გაპენტილ ულვაშებს კბილები დააჭირა.—„რომ სთქვას კაცმა, გასაკვირალი კ არაა, რომ აღარ მეტანებიან: სოკოსავით გამრავლდენ ექიმები; გაეგებათ რაიმე თუ არა, თავი ყველას მეჩნიკოვათ მიაჩნ(?)ა. მე კი... ვალიკო რომ გამომდგარიყო, ჩემს ხელობას გადავულოცავდი. საკმაოდ ვიმუშავე... აწი მოსვენება მესაჭიროება.“—ექიმი აივნის ბოძს მიეყდნო, სათვალე გაისწორა და ბოძის გრეხილზე წამოსკუპებულ მერცხალს მიაშტერდა. ფრინველს ამაყურად მოეყელყელავებია და უდარდელად ჭიკჭიკობდა. იქვე ბუდიდან თავები გადმოეყოთ უსუსურ ლაპებს, წმინდა სანთელივით ყვითელ ყბებს სულელურად აღებდენ და მოუსვენრად ქაქანობდენ.—„ახირებულია ფრინველის საქმე!—გაუელვა თავში მალხაზს. მთელი დღე თავს ევლება ამ უსუსურებს; არ ისვენებს, თავი დავიწყებული აქვს. ახლა კიდევ დახე, გალობით როგორ ართობს?.. იგალობე გულუბრყვილო ფრთოსანო, ქლიტე მწერები მაგათ გაუმაძღარ მუცლების ამოსავსებად, მაგრამ, ხე... ხე... ხე... რა იცის საბრალომ, რომ ამაგი ჩაუვლის, ასე ვსთქვათ, დაუფასებელი დარჩება!..—ძალდატანებულად გაიღიმა მალხაზმა და თითების მტვრევა დაიწყო.—გაივლის კიდევ რამდენიმე დღე; ბარტყები ფრთებს შეისხამენ, ბუდიდან შეიფრთხიალებენ და... მშვიდობით ოცნებავ; არავინ დაგიდევს, ვინ მიაწოდა პური არსობისა!—მერცხალმა, თითქო მალხაზის გულის ძრახვა იწყინაო, მარად შეიფრთხიალა, შუა ეზოში ამაყად გადაშლილ ცაცხვის ტოტებში გაისრიალა და თვალს მიეფარა.—„სულელური აზრი მომივიდა... როგორ შეიძლება ფრინველების მშობლიური მზრუნველობა ადამიანისას დაუპირდაპიროთ!—გაიფიქრა სახტად დარჩენილმა მალხაზმა, აივანზე გადმობარდნილ ვარდის ყლორტები გაასწორა, თაიგულად გადაშლილი ყვავილები მისწი-მოსწია და ჯერ კიდევ დანამული ფოთლები მზეს მიუშვირა.—„აფსუსი არაა, ასეთი ყვავილები უსარგებლოდ სჭკნებოდეს!—თითქმის ხმამაღლა ჩაილაპარაკა მალხაზმა, იქვე სკამზე ჩამოჯდა და თვალები ეზოს გადაავლო. პატარა და მკვიდრი მესერით შემოვლებული ეზო მწვანეში იფლობოდა. ხეივნე-

ცნობოს მას რა ნიხრი არის ქუთაისში დაწესებული პურზე. აგრეთვე გუბერნატორმა ქალ. გამგეობას გამოუგზავნა მეპურეების საჩივარი.

✦ 17 ივნისს ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა მიერ შესდგა ამ ბანკის საპენსიო კასის წევრთა კრება. კრებამ დაადგინა შეიცვალოს წესდების რამდენიმე მუხლი.

✦ **სადვთო სჯულის მასწავლებელთა საყურადღებოთ.** ქუთაისში, გრიგოლ გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული სადვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულად არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

✦ სოფელ კურსებში ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოთ კვირას, 24 ივნისს, გაიმართება მრავალ ფეროვანი საღამო. წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნიას დრამა „და-ძმა" რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მსახიობი „ნემო" და სხვანი. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობენ: ია ეკალაძე, დ. თომაშვილი, ი. მჭედლიშვილი, სცენებს წაიკითხავენ: ნემო და ილ. ქლენტი. ხორო შეასრულებს რამდენიმე ქართულ სიმღერას. დასასრულ დაიდგმება ცოცხალი სურათები.

✦ ქუთაისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების გამგეობას პეტერბურგიდან იაკოფ ჩიმაკაძისაგან დეპეში მოუვიდა, რომ კავშირის კრებამ, ხსენებული საზოგადოების გადასახადის შემცირება 20 პროც. საჭიროთ იცნოთ.

გუშინ დილის მატარებლით ქუთაისში ჩამოვიდა ქ. ფოთიდან თფილისის, ვერის „ერეკლე მეფის" სახელობაზე პირველდაწყებითი სასწავლებლის მოწაფეები რამდენიმე ხელმძღვანელით.

✦ 17 ივნისს ქალაქის სანიტარულმა ექიმა სანიტარების თანადასწრებით დაათვალიერეს მიხაილოვის, გაგარინის, ბაზრისა და ვექილების ქუჩა და უსუფთაობისათვის ოქმი შეუდგინეს შემდეგ პირებს: მეიერ უვიტიაშვილს, ლევან ტევაროვს, სერგეი გოგინოვს და ალექსი სულაკველიძეს. აგრეთვე ოქმი შეუდგინეს ღორის ქუჩაში გამოშვებისთვის ილიკო გიგიაძეს.

✦ ქუთაისს უკვე ჩამოვიდა ოზურგეთის მაზრის უფროსი ბ-ნი მახარაძე და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, იგი დანიშნულია ქუთ. პოლიცმეისტრათ, ხოლო ქუთაისის პოლიცმეისტერი ტერანტონოვი ამ დღეებში რაჭაში გაემგზავრება, რომელიც გადაყვანილია მაზრის უფროსათ.

✦ დღეს თფილისში ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში მოხდება მეორე საჯარო ვაჭრობა თფილისის გუბერნიის სოფლებისა და ქალაქების მამულებისა.

✦ გუშინ წინ მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია თურმანიძის საქმე, რომელსაც მშვიდობიანობის დარღვევა ბრალდებოდა. ის სასამართლომ ათი მანეთით დააჯარიმა.

✦ შაბათს, 20 ივნისს, დაბა ჭიათურაში ადგილობრივ თეატრის დარბაზში შესდგება ევნატე ნინოშვილის საღამო. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზდა მწერლები.

✦ ქუთაისის საზოგადო სასწორზე (ყაფანი) დიდი უსუფთაობაა. საჭიროა სანიტარებმა მეტი ყურადღება მიაქციონ.

✦ ქალაქის განაპირა ნაწილებში მეპურეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. პურსაც ცუდს აცხობენ და არც დაწესებული ფასი აქვთ. საჭიროა მათ მეტი ყურადღება მიექცესთ.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ ნაკადულის მორიგი 11-ე № მცირეწლოვანთათვის. ჟურნალი სუფთად და ჩვეულებრივათაა გამოცემული.

✦ აგრეთვე რედაქციამ მიიღო რუსული 18 პატარა სხვადასხვა წიგნაკი, ვ. ნ. ვასილიევის რედაქციით, გ. ს. თავართქილაძის გამოცემა. წიგნაკები სუფთად არის გამოცემული და ღირს თითო 3 კ.

# თფილისი

**მეფის მოადგილე** გრაფი ი. ი. ვორონცოვ დაშკოვი 14 ივნისს ყირიმიდან თფილისს დაბრუნდა.

„**სახალხო გაზეთი**"-**ს რედაქტორს ნ. ჟურდღელაშვილს** გუშინ ჩააბარეს მეორე საბრალმდებლო ოქმი. რედაქტორს სამართალში აძლევენ 1914 წლის 29 აპრილის ნუმრის მეთაურისთვის, რომელიც ეხება სექართველოს ეკლესიის მდგომარეობას და სათაური აქვს; „ბრალდებული ბრალმდებლების როლში" საქმე გაირჩევა თფ. ოლქის სასამართლოში. სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-10344 მუხლის ძალით.

**სცენის მოღვაწეთა ყრილობის წევრებმა** 15 ივნისს ახალ კლუბის ბაღში საერთო სურათები გადაიღეს.

**პანაშვიდი** მელიტონ გობეჩიას სულის მოსახსენებლად 15 ივნისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი საკატორგო ციხეში უდროოთ გადაცვლილ საზოგადო მოღვაწის მელიტონ გობეჩიას სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის მეგობარნი და პატივისმცემელნი.

გაზ. „იმერეთის" ხელის მომწერთა

# საყურადღებოთ

რედაქცია სთხოვს გაზეთის ხელის მომწერთ გაზეთის ხვედრი ფული წარმოადგინონ, წინაამდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთის გზავნა შევსწყვიტოთ.

**მსახიობა იუ'სა ზარდალიშვილი** მომავალ სეზონისთვ ს თფილისის დასშია მიწვეული. ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას სურს მსახიობი თვით მიიწვიოს ქუთაისში. ამის გამო ბ-ნმა ზარდალიზვილმა თფ. დრამატ. საზოგადოების გამგეობას სთხოვა განთავისუფლება და დაწერილ ხელშეკრულობის დარღვევა. გამგეობამ მსახიობის განთავისუფლება შეუძლებლათ სცნო. წელს მოსალოდნელია, რომ ქუთაისი უდასოთ დარჩეს.

# რუსეთი.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

შერიგებითი კურსი

მიძინებულს პოლიტიკურ სეზონში მოულოდნელი სიცოცხლე შეიტანა ორმა უმაღლესმა აქტმა: უმაღლესმა დეპეშამ სათათბიროს სახელზე და გორემიკინის სახელზე რესკრიპტმა პოლონეთის ქალაქის თვითმართველობათა კანონპროექტის ხელმეორეთ განხილვის შესახებ. ორივე აქტი პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ ნიშნათ შერიგებითი კურსისა, რომელიც გამოთქმული იყო გორემიკინის და კრივოშეინის სახელზე გამოქვეყნებულ რესკრიპტში, რომელნიც ამ კურსის იდეურ მომხრეთ ითვლებიან. ორივე მინისტრი მომხრეა მთავრობისა და სათათბიროს ერთად მუშაობისა და ორივე მომხრე იყო პოლონეთის ქალაქის დებულების კანონპროექტისა. ამ აქტებმა გაამაგრა ის პოზიცია, რომელზეც იდგენ გორემიკინი და კრივოშეინი და აამაღლა სათათბიროს მნიშვნელობა, როგორც მთავრობის, აგრეთვე ბიუროკრატიის თვალში. როგორც ამბობენ, გამოქვეყნებულ აქტებს დიდი გავლენა მოუხდენია იმ მინისტრებზე, რომელნიც მტრულათ უყურებდენ სათათბიროს და არ უწევდენ მას ანგარიშს. სამინისტროებში ამბობენ: თუ დღემდი მხოლოდ შესაძლებლათ იყო მიჩნეული მაკლაკოვის, შჩეგლოვიტოვისა და კასოს სამსახურიდან გასვლა შემოდგომაზე, ახლა ამა არა პოპულიარული მინისტრების სამსახურიდან გადადგომა ყოველ ეჭვს გარეშეა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქტებმა აგრეთვე საბჭოზე. მაგრამ არ არის იმედი, რომ ამ სათათბიროსადმი ყურადღებამ აიძულოს ზედა პალატის „ლორდები" შესცვალონ სათათბიროსადმი თავისი დამოკიდებულება. (რ. ს.)

**ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლა.**

სარწმუნოების კომისიამ მიიღო წესები ქვე-კომისიის მიერ შემუშავებული ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლის შესახებ. თანახმათ წესებისა, იმ პირმა, რომელსაც სურს სარწმუნოების გამოცვლა, უნდა მისცეს განცხადება გუბერნატორს ან გრადონაჩალნიკს, რომელიც თავისი მხრით აცნობებს ორივე სარწმუნოებათა სასულიერო მთავრობას. განცხადების მიცემის დღიდან 30 დღის შემდეგ გადასვლა კანონიერათ ითვლება. (რ. ს.)

**გაფიცვა და ლოკაუტი.**

პეტერბურგის ძაფის ქარხანაში მუშები ქალი და კაცი, მოითხოვდენ ზედამხედველ ლიუდვიგის დათხოვნას, რომელიც მუშა ქალებს შეურაცხყოფას აყენებდა. ქარხნის ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა მუშათა სურვილი, რის გამოც ყველა მუშამ გადასწყვიტა გაფიცულიყო. ქარხნის დირექტორმა განცხადება გამოაკრა, რომლითაც აცნობებდა მუშების ქარხნის დაკეტვას განუსაზღვრელ დრომდი და მუშებს იწვევდა ანგარიშის მისაღებათ. სულ დათხოვნას უპირებენ 5.000 კაცს.

**ნაცემი ბავში და მუშათა პროტესტი.**

ლანგეზიპენის სამექანიკო ქარხნის უფროსმა ოსტატმა გაგზავნა ერთი ბავში მძიმე სამუშაოზე. ბავშმა რამდენსამე ხანს იმუშავა, მოიქანცა და განუცხადა ოსტატს, რომ მას არ შეუძლიან ამ სამუშაოს გაგრძელება. ოსტატმა ეს ბავშს თავხედობაში ჩამოართვა და რამდენჯერმე შემოჰკრა სილა. ეს ამბავი მთელ ქარხანას მალე მოედვა. მუშებმა მოითხოვეს ადმინისტრაციისაგან მხეცი ოსტატის დათხოვნა. ადმინისტრაციამ უარით უპასუხა მუშებს, რის გამოც 1.200 კაცმა მუშაობაზე ხელი აიღო.

**დუქნების დახურვა.**

პოლტავის გუბერნიაში, სასოფლო ყრილობების დადგენილებათა მიხედვით, დაიხურა 240 სახაზინო არყის გამყიდავი ქარხანა, 180 ლუდისა და 4 სარდაფი.

# უცხოეთი.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**მიწისძვრა.**

ლეიპციგში დილის სამ საათზე დიდი მიწისძვრა იყო. ფანჯრების მუშები დაიმსხვრა.

**საბერძნეთის ნოტა.**

ოსმალეთის მთავრობისადმი გადაცემული საბერძნეთის ნოტა შემდეგი შინაარსისაა: საბერძნეთის მთავრობა საყურადღებოთ მიიჩნევს ოსმალეთის ცნობას მათ მიერ მიღებულ ზომების შესახებ და განცხადებას, რომელიც ეხება ბერძნების უკანვე დაბრუნების საკითხს და სხვა. ნოტა უარყოფს ოსმალეთის თვალსაზრისს მაკედონიის მაჰმადიანთა ემიგრაციის შესახებ და ამტკიცებს, რომ მაკედონიის ბერძნები ნებაყოფლობით წავიდენ, ამ დროს კი ოსმალეთის ბერძნები იძულებულნი გახდენ ემიგრაციისათვის მიემართად.

ნოტაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საბერძნეთის მთავრობა სთანხმდება ემიგრანტების გაცვლაზე და ზარალის ანაზღაურებაზე. შემდეგ საბერძნეთის მთავრობა თანახმაა მიიღოს ოსმალეთის მიერ წარმოდგენილი პირობები, ბერძნების გადასახლების წინააღმდეგობის შესახებ.

**ჰერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის და მისი მეუღლის მოკვლა.**

**სარაევო.** ჯარების აღლუმზე დასასწრებლათ ჩამოსული ჰერც-ჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მეუღლით დილით ავტომობილით გაემგზავრენ რატუშისაკენ. გზაში მათ ავტომობილს ყუმბარა ესროლეს, რომელიც ჰერც-ჰერცოგმა დაიჭირა და ხელით გადისროლა გვერდზე. ყუმბარა აფეთქდა, როდესაც ავტომობილმა გაიარა, დასჭრა ორი კაცი მისი ამალიდან უკანა ავტომობილით მიმავალი, აგრეთვე ექვსი მაყურებელთაგანი. ბოროტმოქმედი ტიპოგრაფი კაბრინოვიჩი შეიპყრეს. რატუშიდან დაბრუნებისას, როდესაც მემკვიდრემ მეუღლით [illegible] ნაგრძო მოგზაურობა [illegible] გიმნაზიელმა პრინციპმა [illegible] დაახალა ბრაუნინგიდან და ცოლ-ქმარი დასჭრა: ჰერცოგი სახეში და ჰერცოგინა მუცელში. დაჭრილები კონაკაში გადაიტანეს, სადაც მალე გადაიცვალენ. მკვლელი შეიპყრეს.

ოფიციალურად დამოწმებულმა ცნობებმა ჰერცოგ-ჰერცოგის მოკვლის შესახებ ვენაში დიდი მწუხარება გამოიწვია. გასართობები და წარმოდგენები შესწყდა.

გაიგო თუ არა სარაევოში მომხდარი ამბები, ფრიად შეწუხებული იმპერატორი შინა აპარტამენტებში გადავიდა და განკარგულება მოახდინა შერბურგში დაბრუნებისა. დღისით გმუნდენიდან ჰერცოგ კუმბერლენისა ჩამოვიდა, რომელმაც იმპერატორს გამოუცხადა. ხვალ იმპერატორი ვენაში ბრუნდება.

ჰერცოგის მკვლელი გავრილო პრინციპი 19 წლისაა, დაიბადა გოხოვოში, სწავლობდა ბელგრადში. ჩვენების ჩამორთმევის დროს მან განაცხადა, რომ ეროვნული მოტივების მიხედვით კარგა ხანია ჰსურდა ვინმე მაღალ წოდების პირის მოკვლა. როდესაც ავტომობილში ჰერცოგოვინა ჰოგენბერგი დაინახა ერთს წამით ყოყმანობდა, შემდეგ კი სწრაფლ გაისროლა ორჯერ. იგი უარსყოფს თანამონაწილეთა ყოლას. ყუმბარის მსროლელი ტოფოგრაფი კაბრონოვიჩი 21 წლისაა, მან განაცხადა, რომ ყუმბარა უცხო პირთაგან მიიღო, ბოროტმოქმედების შემდეგ იგი მდინარეში გადახტა, რადგან გაქცევა დააპირა, მაგრამ ხალხმა შეიპყრო.

# პასუხათ კალენიკე ცქიტიშვილს.

გაზეთ „იმერეთის" 56-ე ნუმერში დაბეჭდილია წერილი კავკავიდან კალენიკე ცქიტიშვილისა, რომელშიაც ათასი ცილისწამებაა ჩემზე. კალენიკე ცქიტიშვილის ქებას ვიწყენდი და ვიუკადრისებდი, თორემ მის ლანძღვაზე და ძაგებაზე, ხმას როგორ ამოვიღებდი, რომ კალ. ცქიტიშვილს ზურგს უკან სამარცხვინოთ არ იმალებოდეს კავკაველ ქართველების ძალით მაცხონე დიპლომიან მოხელეთა მთელი ბრბო, რომელთაც გულით უნდათ თავისი არამკითხე ჭირისუფლობით მოიპოვონ დიდება და სახელი საზოგადო მოღვაწისა.

ბევრი არა საკადრისი საშუალება სცადეს ჩემს „მოსარჯულებლათ", მაგრამ ვერაფერს გახდენ. ახლა ტაქტიკა შესცვალეს და გაზეთებში დააწყებიეს წერა ჩემზე ვიღაც ბიჭ-ბუჭებს. წარსულ მაისში გაზეთ „თემში" და „ზავაკ. რეჩში" დაბეჭდეს ისეთი მტკნარი სიცრუე, როგორიც არის ვითომდა ჩემი თანამდებობიდან დათხოვნა. რას მოელოდენ ამ ხრიკით ვერ ვამიგია. ახლა გაზეთ „იმერეთი-"ს ფურცლებზე გადაიტანეს ჩემი ლანძღვა. თუ ვინ ბძანდება ბ. კალენიკე, მის პიროვნების გამოაშკარავებას მე არ შევუდგები. ყველა კარგათ იცნობს მას და მეც. ვიტყვი მხოლოდ, რომ სცრუობთ „ბატონებო", ვითომ მე დამვიწყებოდეს ჩვენი სასიქადულო მოღვაწეების სახელი და პანაშვიდს არ ვიხდიდე მათზე. ყველა ჩვენს მოღვაწეზე თავის დროზე იყო ჩემ მიერ ჩვენს ეკლესიაში გადახდილი პანაშვიდი—ეს ყველამ კარგათ იცის, თქვენც კარგათ იცით, მაგრამ თქვენ განა ჩვენი მოღვაწეების სახელის პატივისცემა გამოქმედებთ და გაწუხებთ?! თქვენ მათი სახელებით ვაჭრობით, თავი გინდათ გამოიჩინოთ და შური იძიოთ. საიქიოს მიცვალებულებს არ ასვენებთ, სააქაოს ცოცხლებს აწუხებთ. ყველას კარგათ ახსოვთ რა სამარცხვინო ოინები ჩაიდინეთ, რომ ჩაგეშალათ გამგეობის მიერ დანიშნული არჩილ ჯორჯაძის სახსოვრათ წარმოდგენა და პანაშვიდი! თქვენმა და „კალენიკეების" უმგვანო საქციელმა გადააჭარბეს გამგეობის კეთილ განზრახვას და ხელი შეუშალეთ წარმოდგენის გამართვას და პანაშვიდის გადახდას, და ამ თქვენ უმზგავსო საქციელს სხვებს აწერთ. რა ოინბაზობა და ძალმომრეობა არ გასწიეთ, რომ ხელი შეგეშალათ ქართულ ხოროსათვის—მონაწილეობა არ მიეღო კავკავში გამართულ ინტერნაციონალურ საღამოში შეჩენკოს სახსოვრათ, მაგრამ

---

ბად ჩამწკრივებულ ხეხილებს შუა ჩაყენებული ყვავილები ერთმანეთს გადაწნოდენ. ეზოს ერთ კუთხეში პატარა სასკე მოსჩანდა და იქიდან ფუტკრების გუზგუზი მოისმოდა. „რამდენი სიცოცხლეა ბუნებაში; კარგი იქნებოდა, რომ მეურნე ყოფილიყავი!"—გაიფიქრა მალხაზმა; სასურგეს მიეყრდნო და სმენად გადაიქცა.

იყო დრო, როცა მალხაზ ქადაგიძე მთელს მაზრაში თითით საჩვენებელ კაცად ითვლებოდა. „თუ ვინმე ისწავლის, ბარემ მალხაზს უნდა მიჰბაძოსო,"—ხშირად იტყოდენ სოფლელები, როცა ლაპარაკი ნასწავლ კაცებზე ჩამოუვარდებოდათ და ასეთი აზრი მალხაზზე გადამეტებულადაც არ ჩაითვლებოდა. ხალხი კარგად ხედავდა, რომ თუ იმ დროინდელი ნასწავლი პირები, მეტ შემთხვევაში, სოფელს სასტიკ ბატონად ევლინებოდენ და მათთან დაახლოება უბრალო მომაკვდავთათვის მიუწდომელი იყო, მალხაზი სხვებს არ ბაძავდა, ყველას მეგობრულად ექცეოდა, მძიმე ავათმყოფობის დროს მხსნელად მოევლინებოდა და ცოტა გასამრჯელოთი დიდს საქმეს გაუკეთებდა. მალხაზის ხალხთან დაახლოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ის ხალხის შვილი იყო;—იმისი ჭირვარამი ესმოდა და მაღალ წოდებას არ ეკუთნოდა. მალხაზმა მხოლოდ დაუღალავი შრომითა და გასაოცარი მოთმინების წყალობით გაიკაფა გზა უმაღლეს სასწავლებელში, რაც მაშინდელს დროში იშვიათი იყო. ქალაქში ხელზე მოსამსახურეთ მიბარებულმა მალხაზმა წერა-კითხვა თითქმის დაუხმარებლათ შეისწავლა და წიგნს დაეწაფა. ბავშის გულისყურიანობა კეთილ ადამიანებს არ გამოეპარათ და მალხაზმაც სრულიად მოულოდნელად თავი სასწავლებელში ამოჰყო. შემდეგ რა მოხდა, მალხაზს მხოლოდ სიზმარივით ახსოვს. ვინ მოსთვლის რამდენი სიმწარე გამოსცადა, ვიდრე უმაღლესს სასწავლებლის კარებს იხილავდა. მაგრამ მალხაზმა დასახული მიზნის მისაღწევად ყოველნაირი დაბრკოლება აიტანა და საქმის კეთილად დაგვირგვინება შესძლო. ახალგაზდა და საქმისადმი სიყვარულით გატაცებული მალხაზი დაუბრუნდა სამშობლო კერას ამ ორმოცი წლის წინათ და მხნედ შეუდგა მძიმე მოვალეობის ასრულებას. საცხოვრებლათ სოფელი აირჩია, ვინაიდან ღრმად სწამდა, რომ აქ სამკალი ფრიად დიადი იყო და ყველაზე მეტად იმისი ცოდნა სოფელს გამოადგებოდა. ეს ის დრო იყო, როცა სოფელი ჯერ კიდევ უვიცობის მორევში სცურავდა; მეცნიერებაზე დამყარებული მკურნალობის სიავ-კარგე არ ეგებოდა და მკითხავ—ჯადოქრობით კმაყოფილდებოდა. ამიტომ გასაკვირალიც არაა, თუ სოფლიებმა ახალგაზდა მკურნალს ალმაცერად შეხედეს. „ხეირიანად ის ფოთოლსაც ვერ იცნობს, რა ექიმობა უნდა გამოიჩინოსო"—ამბობდნენ ზოგიერთები.

„—თუ ბევრი გაეგება რა ჩვენთვის აიტკივებდა თავს"!—უმატებდენ სხვები. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მალხაზის ათვალისწინება შეცდომა იყო; ხალხმაც აზრი შეიცვალა და ბუზივით დაეხვია იშვიათ ექიმს. მალხაზიც მძიმე შრომაში დღე-ღამე ატარებდა, მოსვენება არ იცოდა.—„მალხაზმა თუ მოუსწრო, საფიქრალი არაფერია; უთუოდ უშველის"!—იმედიანათ ამბობდენ სოფლელები, თუ გინდ ავათმყოფი სიკვდილის პირად ყოფილიყო. მართლაც, არა ერთი სოფლელი დაუხსნია მალხაზს სიკვდილის ბრჭყალებისაგან; არა ერთისთვის დაუბრუნებია ჯანის სიმრთელე გონივრული დარიგებით, ხალხი იმდენად შეეჩვია მკურნალს, რომ, როცა რამდენიმე წლის შემდეგ მალხაზმა მახლობელ ქალაქში სახლ-კარი შეიძინა და საცხოვრებლად გადასვლა დააპირა, ერთხმად შესძახეს:

—„ნუ დაიდებთ, ექიმო, ჩვენს ცოდვას, ნუ დაგვაგდებთ ობლადო". მალხაზმა ქალაქში გადაბარგვა არ დაიშალა, თუმცა ხალხს აღუთქვა, რომ მზრუნველობას არ მოაკლებდა. მართლაც, მალხაზს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სოფლებთან კავშირი. ხალხი ყოველდღე ხედავდა, როგორ ამაყად მიაბიჯებდა სასოფლო შარაზე მალხაზის ლურჯა; როგორ მოკრძალებით უხდიდა ქუდს ექიმი შემოხვედრილ სოფლელებს.

— როგორი თავდაბალია ჩვენი ექიმი, ბალღებსაც კი შეხვედრის უმალ მოუხდის ქუდს"—ამბობდენ სოფლელები. ამის შემდეგ გავიდა ხანი. დრო შეიცვალა. ექიმები გამრავლდენ; ერთის ადგილას ათობით დაითვლიდით. მალხაზს შეძლებამ უკლო; მოხუცებულობა შეეპარა. წინანდელი ნაცნობები დაიხოცენ, ან დროთა ბრუნვის წყალობით, ჩამოშორდენ მას. ახალგაზდები სხვა ექიმებს დაუახლოვდენ და მალხაზის დროც გაფრინდა.

(შემდეგი იქნება).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიაშნის სითხით

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის

ძლიერ ზომიერ ფასად
ნამდვილი ინგლისური
შაბიამანი,
გოგირდის ფხვნილი, ქაჯმენის სითხე.

ენახების საქიმო მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.
მანქანების ყოველგვარი რეზინები-სა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთისსამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფაიფურისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

რა უზომოთ შერცხვით! ხორომ მიიღო მონაწილეობა და აღტაცებაც გამოიწვია დამწირე საზოგადოებაში.

ჩემი მოპირდაპირე ჯგუფი ბრალს მდებს ვითომ გამგეობას ჩემს ნებაზე ვამოქმედებდე. ესეც უბრალო ხრიკია მისი მხრით. ხალხს დიდიხანია სწყუროდა თავი გაეთავისუფლებია იმ ზოგიერთთა არა მკითხე ქირისუფლებისგან, რომლებიც მაჯლაჯუნასავით სულს უხუთავდენ აქაურ ეროვნულ საქმეს. შარშან საზოგადო კრებაზე აუსრულდათ ეს ნატვრა; მათ ნაცვლათ ახლები აირჩიეს გამგეობის წევრებათ და მათ ჩააბარეს საზოგადო საქმის მოვლა და პატრონობა. ძველმა გამგეობამ ახალს უანდერძა ორასი თუმანი ვალი, საქმეები არეულ-დარეული, სკოლა სახელგატეხილი და გათახსირებული. ძველი გამგეობა ქალალდს-ქალალდზე ჰგზავნიდა თფილისში მთავარ გამგეობასთან, თუ ფულს არ მოგვაშველებთ სკოლას დავკეტავთო. ერთი ორჯელ კიდეც სცადეს სკოლა მთავრობისათვის გადაეცათ, მაგრამ გამგეობის ერთ-ორმა კეთილგონიერმა წევრმა ხელი შეუშალეს ამ დამღუპველ განზრახვას. ძველი გამგეობა ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მთხოვეს შემწეობა, მე და გრ. მ. ბურდულმა ორკვირაში 70 თუმნამდი შევკრიბეთ და გადავეცით გამგეობას, რითაც სკოლამ სული მოითქვა საშობაო საღამოს გამართვამდი გამგეობასთან ერთად მეც ვეცადე, რომ საღამო შემოსავლიანი ყოფილიყო, და მართლაც, საღამომ არა ჩვეულებრივ შემოსავალი მისცა გამგეობას, თუმცა თქვენი „კალენიკეებით“ ძალიან ეცადეთ ხელი შეგეშალათ საღამოს რიგიანათ მოწყობისათვის! შურმა გონება დაგიხშოთ და ასეთს ჩემს მოქმედებას ეძახით გამგეობის ჩემს ქსელში გაბმას! თუმცა ისიც კარგათ იცით, რომ მე გამგეობის წევრი არავარ და გამგეობის კრებაზე მხოლოდ ოთხჯერ ვიყავი მოწვეული, ისიც მასწავლებლებთან ერთად. სალმთო სჯულის გაკვეთილებს თავი დაანებაო. რა საკვირველია უნდა თავი დამენებებია, რადგანაც თქვენის წყალობით სკოლაში ისეთი ატმოსფერა დადგა, რომ ჩემთვის სახიფათო გახდა სკოლაში შესვლაც კი, არათუ გაკვეთილების მიცემა. მუშტი-კრივს არ ერიდებოდენ, ათას ხაფანგს უგებდენ ადამიანს, რომ შარში გაეხვიათ და „საბუთი“ ეშოვნათ. სხვა არა იყოს რა, განა კალენიკე ცქიტიშვილს მუქთად აჭმევდენ პურს მისი მბძანებლები: ყოველ შემთხვევისთვის ჰყავდათ იგი სკოლაში „შარის თავათ“. ავდექი და დროებით გავანებე თავი სკოლაში სიარულს, ვიდრე გამგეობა რასმე იღონებდა. მაინც მე ჩემი საქმისათვის არ მიღალატნია, რაც მეოთხე განყოფილების კომისიაში გამოცდამ დაამტკიცა.

მასწავლებელ ქალ ნ. იოსელიანს ექომაგებოდაო, სიცრუეა. მე მხოლოდ გავკიცხე უსამართლო მისი დევნა და უსინდისო ზომების მიღება მის წინააღმდეგ. რაც შეეხება მასწ. გრ. გორდელაძის ვითომდა ჩემის მხრით ქომაგობასა და ქებას, ის ამეებში არ საჭიროებს; მისი საქმენი თითონ ლაღადებენ მის ქებას. იგი გამოცდილი მასწავლებელია, მხნე მუშაკი საზოგადო საქმეში, მშვენიერად დააყენა საეკლესიო გალობა, რაც უკლებლივ სწარმოებს ჩვენს ეკლესიაში ყოველ კვირა-უქმობით. მისმა მხნეობამ დაიხსნა წელს სკოლა სამუდამო შერცხვენისაგან და იქნება დაკეტვისაგანაც. ნურას უკაცრავათ, დიდების მაძიებელნო, რომ თვალები არ დავუკოცნე იმ უგვანო ცულლუტ მასწავლებლებს, რომელთაც თავი შეაფარეს თქვენს ძლიერ „სალონს“ და პატიოსანი შრომის მაგიერ სხვისი თვალთმაქცობით, გაიძვერობით და პოლიტიკანობით ძირს დასცეს სკოლა, სახელი გაუტეხეს ოდესმე სანაქებო სკოლას მოწაფეები დააფრთხეს და გარყვნეს სკოლა. მხოლოდ იუდას შეუძლიან მათი ქება. კარგი მეყაითი მასწავლებლები ყოველთვის მიყვარდენ და გულითად მეგობრობას ვუწევდი მათ და აი, ამ ჩემმა მეგობარმა მასწავლებლებმა მოუპოვეს სახელი და დიდება კავკავის განმანათლებელ საქმიანობას და კერძოთ სკოლას. მათი ბრალია, რომ სკოლას ათასობით მოაწყდა სწავლის მსურველნი, უხვათ მოდიოდა ყოველმხრივ შემოწირულობა; სამაგიეროდ თქვენმა „ლაქია“ მასწავლებლებმა, თქვენი მფარველობის წყალობით, სრულიად გაანადგურეს ის, რითაც აქნობამდის ამაყობდა კავკაველი კეთილგონიერი ქართველი.

ჯერჯერობით ამაზე მეტი პასუხი საჭიროთ არ მიმაჩნია და თუ ჩვენი „ბატონობის“ მოტრფიალე პირები არ დაიშლიან „კალენიკეების“ საშუალებით წყლის ამღვრევას, მაშინ იძულებული გავხდები ერთჯერ და სამუდამოთ გავაცნო ქართველ საზოგადოებას, პრესის საშუალებით, იმათი ვინაობა და დაწვრილებით აღვნუსხო მათი „მოღვაწეობა“.

ღვდ. გ. ნათაძე.

## დაბა-სოფელი.

**ს. ჭრებალო** (ლეჩხუმის მაზრა). ეს არის მოატანა ბრწყინვალე ზაფხულის თვეებმა და აქამდი შრომის ფერხულში ჩაბმული ხალხი თანდათან სტოვებს ქალაქის დაუდგრომელ ცხოვრებას და მტვრიან ატმოსფერის დაშორებით, სიხარულით საგარაკოთ, მოემართება თვისი სამშობლო კუთხისაკენ; პატარა ბაზარი ჭრებალოც მოელის თვისი რაიონიდან ქალაქად გასულ ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზდობის საზაფხულოთ დაბრუნებას. ის დარწმუნებულია, მათი მოსვლა შეიქნება ნაყოფიერი— და დღემდი სალათას ძილს მიცემული დაბა—დღეს გამოფხიზლების გზას დაადგება.

ჭრებალო გაშენებულია რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე. შუაში ამ პატარა ბაზარს გაუდის სამხედრო ოსეთის გზა-ტკეცილი. მდებარეობა ნამდვილი საქალაქო აქვს.

ჭრებალოში არსებობს—ფოსტა-ტელეგრაფი, ბიბლიოტეკა-სამკითხველო, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, კოოპერატიული მომხმარებელი ამხანაგობა, ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და საავათმყოფო ექიმით. გვყავს აგრეთვე აგრონომ-ინსტრუკტორი. გარშემო რაჭალეჩხუმის სოფლებიდან ზაფხულობით საკმაო ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზდობა იყრის თავს ჭრებალოში, რომელთაგანაც, ჩვენდა საუბედუროთ, ნაკლებათ ვხედავთ კულტურულ ასპარეზზე მოღვაწეობას! სამკალი კი ბევრია.

დიდ სასარგებლო მოღვაწეობათ ჩაითვლება თუნდაც დროგამოშვებით იაფფასიან წარმოდგენების ან ლიტერატურულ საღამოების მართვა საქველმოქმედო მიზნით, რომელიც, რამდენათაც შეიძლება, ხელს შეუწყობს ღარიბ მდგომარეობაში მყოფს ბიბლიოტეკა-სამკითხველოს არსებობას, ან კიდევ შემდეგისათვის სახალხო სახლის დაარსებას. ახლო მომავალში, განზრახულია ნების აღება და სამუდამო სცენის მოყვარეთა სექციის შედგენა და მაშინ იმედია აქაური მოწინავე შეგნებული პირები ენერგიისა და საქმისადმი სიყვარულს გამოიჩენენ და დიდ ნაბიჯს გადასდგამენ ბრწყინვალე მომავლისაკენ.

„იოლა“.

**სოფ. გორდი** (სენაკის მაზრა). 22 მაისს სოფ. გორდში სენაკის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე დეკ. გაწერელია, გორდის ერთკლასიან სამრევლო სკოლაში ბავშების გამოცდას დაესწრო. გამოცდამ კარგათ ჩაიარა, ბავშები კარგი მომზადებული იყვენ და მეთვალყურის კითხვებზე სხარტათ უგედენ პასუხს. მეთვალყურე კმაყოფილი დარჩა, მასწავლებელ ჩიხლაძეს მადლობა გადაუხადა.

23-ს ქუთაისის გუბერნიის მეოთხე რაიონის ინსპექტორი ბ. სმირნოვი, გორდის ორკლასიან, სუმაჭახოსა და კინჩხის ერთკლასიან სასწავლებლებში ბავშების გამოცდას დაესწრო. ბ. ინსპექტორის კითხვებზე საუცხოოთ უპასუხეს ბავშებმა. ბ. ინსპექტორი კმაყოფილი დაბრუნდა.

25 მაისს მარტვილის ნაწილის ბოქაულის მაღლაკელიძის თანდასწრებით ხალხმა გორდის ეკლესიის გალავნის, სამრეკლოისა და ეკლესიის რემონტის შესახებ განაჩენი დაადგინა, თანახმად ეპისკოპოზ ლეონიდის მოწერილობისა

დამსწრე.

## განაჩენი.

ამხანაგურმა სასამართლომ, რომელიც შესდგა 12 ივნისს 1914 წ. კუზანოვ-იაკობსონის საქმის გასარჩევათ, მოუსმინა რა ორივე მხარეს და მათ მოწმეთა ჩვენებას, მის მიერ შემუშავებულ შემდეგ კითხვებზე:

1) წარმოსთქვა თუ არა სტ. კუზანოვმა ებრაელთა ერის შეურაცხმყოფელი ფრაზა?

2) თუ წარმოსთქვა, რა პირობებში?

3) იხმარა თუ არა სტუდ. კუზანოვმა ყოველგვარი საშუალება, „რათა, რაც შეიძლება, უფრო სასტიკათ მოეხსენებია... ებრაელთა ერი“?

4) არის თუ არა სტ. იაკობსონის მხრით საზიზღარი ცილისწამება? თათბირის შემდეგ გასცა შემდეგი პასუხი:

1) სასამართლო სცნობს, რომ სტუდ. კუზანოვმა წარმოსთქვა ფრაზა, რომელიც შეიცავდა ებრაელთა ერის შეურაცხმყოფელ სიტყვებს;

2) ეს ფრაზა იყო წარმოთქმული კამათის დროს, მოუფიქრებლათ.

3) სტუდ. იაკობსონის ბრალდებებს სტუდ. კუზანოვის წინააღმდეგ, თითქოს უკანასკნელი სცდილობდა ეხმარა ყოველგვარი საშუალება, „რათა, რაც შეიძლება, უფრო სასტიკათ მოეხსენებია... ებრაელთა ერი“, სასამართლო ნახულობს უსაფუძვლოთ.

4) სასამართლო უარყოფს საზიზღარ ცილისწამებას იაკობსონის მხრით, მაგრამ ნახულობს მის ბრალდებებს სტუდ. კუზანოვის წინააღმდეგ ძალიან გადამეტებულათ.

თავჯდომარე შალ. ღუდღაძე.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.

დაიწყო ხელის მოწერა
ჯაჯუ ჯორჯიკიას
თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.
წიგნი ღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება დაფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის“ რედაქცია სერ. გერსამიასა და გიგლა მებუკეს.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. დამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან აცანაში **შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინამძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოლალევში** აქსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მალლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვა დასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საგარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

**სახალხო განათლების მინისტრის** განკარგულებაში მყოფის ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის, მიის მზომლობისა, საამშენებლო და სამეურნეო განყოფილებიანს

თფილისის პოლიტეხნიკურ კურსებზე

პირველ სემესტრში გამოუცდელათ მიიღებიან: 1872 წლის დებულების სამოქალაქო სასწავლებლისა, ან და მისი მოთანასწორე სასწავლებელ დასრულებული პირები. მიწისმზომლობის განყოფილების დამსრულებლებს, თუ საჭიროება იქნება, სამიჯვნელო ნაწილის გამგე თანაშემწეების კანდიდატებათ და მიწის მომწყობი კომისიის მიწის მზომლებათ ირჩევს. (სამიჯვ. ნაწ. გამგის 1914 წ. 22 თებერვლის 1072 ნუმრის მოწერილობა). მიწისმზომლობის განყოფილებაში ორი წლის კურსია, საამშენებლოსა და სამეურნეოსაში კი ორი წლინახევრის. პროსპექტებს ვგზავნით ექვსი შაურის საფოსტო მარკების მიღებისთანავე.

მისამართი: თფილისი, პუშკინის ქ. № 8 ტელ. 10 -30.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

**ფასები ძლიერ დაკლებულია.**

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.